



პოლიტიკის დოკუმენტი

2021

**ერთი ნაბიჯი წინ - ერთი უკან:
სახელმწიფო მედეგობის დილემა
კოორდინირებული პოლიტიკის
ნაკლებობის ფონზე**

შალვა ძევისაშვილი



საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS

პოლიტიკის დოკუმენტი გამოცემა #19 | თებერვალი 2021



Embassy of the
Kingdom of the Netherlands

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP) არის არაკომერციული, არაპარტიული, კვლევითი და ანალიტიკური ორგანიზაცია. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი ცდილობს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ორგანიზაციული საფუძვლების გაძლიერებას და ეფექტური მმართველობის პრინციპების განვითარებას პოლიტიკური კვლევისა და ადვოკატირების გზით.

დოკუმენტის ციტირების წესი:

შალვა ძებისაშვილი, "ერთი ნაბიჯი წინ - ერთი უკან: სახელმწიფო მედეგობის დილემა კოორდინირებული პოლიტიკის ნაკლებობის ფონზე", პოლიტიკის დოკუმენტი #19, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, თებერვალი 2021.

© Georgian Institute of Politics, 2021
13 Aleksandr Pushkin St, 0107 Tbilisi, Georgia
Tel: +995 599 99 02 12
Email: info@gip.ge

For more information, please visit
www.gip.ge



Cover Photo by Etienne Girardet on Unsplash

ავტორის შესახებ

შალვა ძებისაშვილი არის პოლიტიკური მეცნიერების დოქტორი (ასოც. პროფესორი), საქართველოს უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერებებისა და საერთაშორისო ურთიერთობის პროგრამების ხელმძღვანელი. იგი არის საქართველოს სტრატეგიული ანალიზის ცენტრის (GSAC) თანადამფუძნებელი. 2003 წლიდან მსახურობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროში თავდაცვის პოლიტიკასა და დაგეგმვასთან დაკავშირებულ სხვადასხვა მაღალ თანამდებობებზე. 2008-09 წლებში მან წარმატებით დაამთავრა სამაგისტრო კურსი სტრატეგიულ უსაფრთხოების კვლევებში აშშ-ს ეროვნული თავდაცვის უნივერსიტეტში (NDU-ვაშინგტონი) და შემდეგ დაიკავა თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო წარმომადგენლის პოზიცია (თავდაცვის მრჩეველი) საქართველოს წარმომადგენლობაში ნატოს შტაბ-ბინაში. 2012 წლის სექტემბერში ის გახდა ევროკომისიის სადოქტორო პროგრამის (GEM) წევრი, წარმატებით დაიცვა დისერტაცია და მიიღო სადოქტორო ხარისხი ევროპული კვლევების ინსტიტუტში (IEE, ULB, ბრიუსელი) 2016 წლის იანვარში.

სარჩევი

- 4 მოკლე შინაარსი
- 5 შესავალი
- 6 მედეგობის სფეროები და მნიშვნელობა
- 7 უსაფრთხოების (არასამხედრო) რისკები: კრიმინალი და კიბერსივრცე
- 9 ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფები
- 11 სამხედრო საფრთხეები და თავდაცვისუნარიანობა
- 12 დასკვნა და რეკომენდაციები
- 14 გამოყენებული ლიტერატურა

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს საქართველოს უსაფრთხოების სისტემის კომპლექსური მიმოხილვისა და შეფასების ერთგვარ მცდელობას მედეგობის/ მდგრადობის (resilience) კონცეფციის ფარგლებში, რომელიც ბოლო პერიოდში განსაკუთრებით აქტუალური გახდა. მისი აქტუალურობა განპირობებულია არა მხოლოდ ობიექტური გარემოებებით (საგრძნობლად გაუარესებული სამხედრო-პოლიტიკური (უსაფრთხოების) გარემო), არამედ ევროკავშირისა და ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის მხრიდან ამ პრინციპის უსაფრთხოებისა და თავდაცვისუნარიანობის ქვაკუთხედად აღიარებითაც. შესაბამისად, საქართველოს, როგორც სახელმწიფოს მედეგობის ხარისხი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მისი უწყებების სწრაფ და კოორდინირებულ ნაბიჯებზე ისევე, როგორც მედეგობის გაზრდის კონტექსტში საზოგადოების მნიშვნელოვან ჩართულობაზე. ანალიზის შედეგად საკმაოდ ჭირს რომელიმე სფეროს გამოყოფა, სადაც მნიშვნელოვანი პროგრესი შეინიშნება. ტიპურ პრობლემას წარმოადგენს პოლიტიკის კოორდინაციის ნაკლებობა და შესაბამისად, შეთანხმებული გრძელვადიანი მიზნების არარსებობა, რაც საგრძნობლად ასუსტებს აუცილებელი რესურსების გამოყოფას და განხორციელების გეგმების შემუშავება-შესრულებას.

საკვანძო სიტყვები: უსაფრთხოება, მედეგობა, საქართველო, ევროკავშირი, ნატო, პოლიტიკის კოორდინაცია.

2008 წლის სამხედრო წარუმატებლობამ, ამ დრომდე მიმდინარე რუსულმა სამხედრო ოკუპაციამ, რომელსაც არაერთი ე.წ. ჰიბრიდული ტიპის საფრთხე უკავშირდება, და ამ პერიოდში მომხდარმა არა ერთმა ბუნებრივმა კატასტროფამ (წყალდიდობა თუ ტყის ხანძარი), საქართველოს წინაშე მწვავედ დააყენა კრიზისულ ვითარებებში სახელმწიფოსა და საზოგადოების მომზადების პრობლემა. გამომწვევა განსაკუთრებით მასშტაბურია კრიზისებსა და კატასტროფებთან მიმართებაში. აღნიშნული ფენომენი ინგლისური ტერმინით Resilience გამოიხატება, რაც ქართულად მედეგობა/მდგრადობას ნიშნავს. ობიექტური გარემოებების გარდა, საკუთრივ საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსის ორმა მთავარმა ადრესატმა, ნატომ და ევროკავშირმა, განსაკუთრებით გაზარდეს მოთხოვნები წევრი ქვეყნების მედეგობის ზრდის მიმართ სამხედრო თუ ბუნებრივი კრიზისების მიმართულებით (NATO 2014). ხოლო უკვე 2016 წლის ალიანსის ვარშავის სამიტიდან მოყოლებული და 2017 წლის ევროკავშირის ბრიუსელის სამიტის გადაწყვეტილებით, საქართველოს, როგორც განევრიანების კანდიდატ ქვეყანას და აღმოსავლეთის პარტნიორობის წევრს, მკაცრად დაუნესდა თავდაცვისუნარიანობისა და სამხედრო მედეგობის გაზრდის მოთხოვნა. ამასთან ერთად, დამატებით გაჩნდა მოთხოვნა, რომელიც ეკონომიკურ, ეკოლოგიურ თუ ტექნოგენურ კრიზისებთან გასამკლავებლად სახელმწიფო უწყებების კოორდინაციის და პოტენციალის გაზრდას ითვალისწინებს (NATO 2016; European Commission n.d.). ამავე სფეროს მიეკუთვნება კიბერუსაფრთხოება და კიბერშეტევების წარმოდგენლად გაზრდილი შესაძლებლობებისა და დამაზიანებელი შედეგების გათვალისწინებით, სახელმწიფოს უნარი, შეზღუდოს და წარმატებით გაანეიტრალოს მსგავსი ინციდენტები. აღნიშნული ცხადყოფს, რომ სახელმწიფოს კრიზისებთან (სამხედრო თუ არასამხედრო ტიპის) გამკლავების უნარი ორმაგად მნიშვნელოვანია საქართველოსთვის. ერთი მხრივ, 2008 წლიდან საგრძნობლად გაუარესებული უსაფრთხოების გარემო პირდაპირ ითხოვს სწრაფი და ადეკვატური ნაბიჯების გადადგმას ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისა და წინააღმდეგობის განვითარების უნარის გასაზრდელად, რაც ასევე გულისხმობს საზოგადოებისა და კერძო სექტორის მომზადებას და მათთან კომუნიკაციას. ხოლო, მეორე მხრივ, ევროკავშირი და ნატო პირდაპირ უსვამენ ხაზს სახელმწიფო ინსტიტუტების მხრიდან კრიზისების დაძლევისა და მედეგობის მაღალ ხარისხს, როგორც განევრიანების უმნიშვნელოვანეს წინაპირობას. შესაბამისად, საინტერესო იქნებოდა 2008 წლიდან მოყოლებული, და განსაკუთრებით 2016/17 წლებიდან, საქართველოს მხრიდან გადადგმული ნაბიჯებისთვის თვალის გადავლება. აღნიშნული, პირველ რიგში, საშუალებას მოგვცემდა დაგვედგინა, რამდენად მომზადებულია ქვეყანა სამხედრო, ჰიბრიდულ და ტექნოგენურ, თუ ბუნებრივ კრიზისებთან გასამკლავებლად. ამასთან ერთად, ასევე ნათლად გამოჩნდებოდა, რამდენად ასრულებს საქართველო ნატოსა და ევროკავშირის მიმართ აღებულ ვალდებულებებს მედეგობის გაზრდასთან დაკავშირებით. უკანასკნელი, თავის მხრივ, ორ რამეზე მიგვანიშნებს:

- საქართველოს სურვილსა და უნარზე, შეასრულოს აღებული ვალდებულებები და შესაბამისად, დააჩქაროს განევრიანება;
- საქართველოს განევრიანების რეალურ შანსზე - მაშასადამე ევროკავშირისა და ნატოს მზადყოფნაზე, დათანხმდნენ საქართველოს განევრიანებას მიღწეული შედეგების საფუძველზე.

ზოგადად, სახელმწიფოს მედეგობის კონცეფცია ახალი არ არის და სათავეს სამხედრო სტრატეგიული აზროვნებიდან იღებს, რაც მოწინააღმდეგის საბრძოლო ნებისა და უნარის მოსპობას გულისხმობს. მეორე მსოფლიო ომის ტოტალურმა და ინდუსტრიულმა სახემ განსაკუთრებით კარგად წარმოაჩინა მედეგობის არა მხოლოდ ტექნიკური, არამედ, მორალურ-ფსიქოლოგიური ასპექტის მნიშვნელობა. შესაბამისად, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის დაარსების ხელშეკრულების მესამე მუხლში უკვე პირდაპირ წერია რომ:

"წინამდებარე ხელშეკრულების მიზნების უფრო ეფექტურად მიღწევისთვის მხარეები, ცალ-ცალკე და ერთობლივად, გაერთიანებული ძალისხმევისა და საკუთარი ძალებზე დაყრდნობით შეინარჩუნებენ და განავითარებენ საკუთარ ინდივიდუალურ და ერთობლივ უნარს (პოტენციალს-ავტ.) სამხედრო შეტევის მოსაგერიებლად." (NATO 2019)

ცივი ომის პერიოდში, აღნიშნული უნარი, ვარშავის პაქტის სამხედრო ძალების შედარებითი უპირატესობის გამო, გულისხმობდა ძლიერი სამოქალაქო თავდაცვის სისტემის ფუნქციონირებას, რამაც სკანდინავიის ქვეყნებში ე.წ. ტოტალური თავდაცვის კონცეფციის სახე მიიღო (Von Sydow 2018; The Swedish Defence Commission secretariat 2017). უკვე საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, გლობალური სამხედრო კონფრონტაციის საფრთხის გაქრობამ გამოიწვია ქვეყნის მედეგობის პრინციპების საფუძვლიანი გადახედვა არატრადიციული სამხედრო და სხვა ბუნებრივი თუ ტექნოგენური საფრთხეების მნიშვნელობის გაზრდის სასარგებლოდ. თუმცა, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომმა და განსაკუთრებით, 2014 წლის რუსულმა სამხედრო ინტერვენციამ ყირიმსა და აღმოსავლეთ უკრაინაში კიდევ ერთხელ შეარყია არსებული შეხედულებები და ისევ აქტუალური გახდა ქვეყნის სამხედრო მედეგობის მაღალი ხარისხის აუცილებლობა შეიარაღებული ძალების, სახელმწიფო ინსტიტუტებისა თუ სამოქალაქო სფეროს ეფექტური ფუნქციონირებისთვის. შესაბამისად, ჩამოყალიბდა ყოვლისმომცველი მიდგომა, რომელიც სახელმწიფოს მედეგობის შემდეგ სფეროებს მოიცავს (Pape 2016):

- საზოგადოებრივი
- ეკოლოგიური
- პოლიტიკური
- ეკონომიკური
- უსაფრთხოების

წინამდებარე ანალიზი არ ითვალისწინებს ეკონომიკის სფეროზე ყურადღების გამახვილებას, თუმცა მთელი რიგი მინიშნებები მეტყველებს მზარდ ნეგატიურ ტენდენციებზე (Dzebisashvili 2020, 49). ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ ხშირ შემთხვევაში ეკოლოგიური, პოლიტიკური, უსაფრთხოების თუ საზოგადოებრივი სფეროები მჭიდროდ არის გადაჭვული ერთმანეთთან, ქვეყნის მედეგობის ხარისხის გაანალიზება უნდა მოხდეს შემდეგი მიმართულებების მიხედვით:

- უსაფრთხოების (არასამხედრო) რისკები: ორგანიზებული დანაშაული და კიბერსივრცე
- ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფები
- სამხედრო საფრთხეები და თავდაცვისუნარიანობა

07 აღნიშნული დაყოფა გაცილებით უფრო ამარტივებს როგორც სახელმწიფოებრივი უწყებებისა და ინსტიტუტების მოქმედების უნარის შეფასებას, ასევე კოორდინაციის ხარისხის, საზოგადოებასთან კომუნიკაციისა და ერთობლიობაში მედეგობის გაზრდისკენ გადადგმული ნაბიჯების ეფექტურობის დადგენას კონკრეტული საფრთხეების მასშტაბთან მიმართებაში. მსგავს მიდგომას ასევე იზიარებს **აღმოსავლეთ პარტნიორობის (EAP) 2020 შედეგების** ინიციატივა, რის ფარგლებშიც საქართველოს დაეკისრა ევროკავშირთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობის ვალდებულება უსაფრთხოებისა და კატასტროფის რისკის მართვის სფეროებში (**შედეგი 12**) კონკრეტული შედეგების მისაღწევად (European Commission n.d.). უფრო კონკრეტულად, უნდა მომხდარიყო ორგანიზებულ დანაშაულთან (ცეცხლსასროლი იარაღის კონტრაბანდა და ა.შ.) ბრძოლის შესაძლებლობების გაუმჯობესება; ჰიბრიდული და კიბერ-საფრთხეების მიმართ მეტი მედეგობის მიღწევა; ქიმიური, ბიოლოგიური, რადიოლოგიური და ბირთვული თავდაცვის (CBRN) და სხვა კატასტროფების (ბუნებრივი ან ტექნოგენური) რისკების შემცირება და ასევე, კრიზისების პრევენცია და მართვა. აღმოსავლეთ პარტნიორობის თანამშრომლობის 2017 წლის რევიზიის შედეგად შექმნილი ოთხი პლატფორმიდან, **პირველი პლატფორმა - ინსტიტუტების და მმართველობის გაძლიერება** განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს პარტნიორ ქვეყნებში კატასტროფების რისკების მართვის შესაძლებლობებისა და პოტენციალის გაზრდაზე (EU4Digital 2018; European Commission n.d.). გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები სრულად უნდა შეესაბამებოდეს ბუდაპეშტის კონვენციას, კერძოდ კიბერ-დანაშაულთან ბრძოლის დადგენილ პრინციპებსა და ამოცანებს (European Commission 2019; Council of Europe 2001). ამასვე ადასტურებს ევროკავშირი-საქართველოს ერთობლივი სამუშაო დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც, სწორედ აღნიშნულ სფეროებში განხორციელებული ნაბიჯები ქმნის ძირითად წინაპირობებს სახელმწიფოს მიმართ მოქალაქეთა ნდობის ხარისხის გასაზრდელად, გრძელვადიანი სტაბილურობის გასაუმჯობესებლად და უსაფრთხო საინვესტიციო გარემოს შესაქმნელად (European Commission 2017). ბოლოს, როგორც კიბერუსაფრთხოების, ასევე კატასტროფებთან ბრძოლის კარგი პოტენციალი და უნარი ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სამხედრო მედეგობის (NATO 2020) გაგების განუყოფელ ელემენტს წარმოადგენს, რაც კიდევ უფრო ზრდის მის მნიშვნელობას საქართველოს პოლიტიკური დღის წესრიგის შესაქმნელად (NATO 2020; Roepke & Thankey 2019).

უსაფრთხოების (არასამხედრო) რისკები: კრიმინალი და კიბერსივრცე

დასაწყისშივე უნდა აღინიშნოს, რომ გასაანალიზებელი მასალების შეგროვებისას თვალშისაცემი იყო საჯაროდ ხელმისაწვდომი სახელისუფლებო წყაროებისთვის დამახასიათებელი ბუნდოვანი შინაარსი და დაგეგმილი თუ განხორციელებული ქმედებების შედეგების ბუნდოვანი ფორმულირება. შესაბამისად, საკვლევი თემის რელევანტურ სფეროებში მიღწეული პროგრესის დასადგენად, ხშირად საჭირო იყო განსხვავებული წყაროების ხშირი შედარება. ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხი ჯერ კიდევ მოითხოვს დამატებით კვლევას დოკუმენტური წყაროების არარსებობის, ან ცალკეული სახელმწიფო ორგანოების მიერ დოკუმენტური ინფორმაციის განუახლებლობის გამო. 2019 წელს შექმნილი ეროვნული უსაფრთხოების საბჭო (NSC) და საქართველოს თავდაცვის სამინისტრო იშვიათ და დადებით გამოწვევის წარმოადგენს ამ თვალსაზრისით.

08 2020 შედეგების მიხედვით, საქართველოს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სფეროში უნდა გაეუმჯობესებინა უკანონო ცეცხლსასროლ იარაღზე კონტროლისა და ევროკავშირის საგამოძიებო სტრუქტურებთან ინფორმაციის გაცვლის მექანიზმები. ამასთან ერთად, უნდა მომხდარიყო ერთობლივ მრავალეროვნულ ღონისძიებებში ინტენსიური მონაწილეობა. დღევანდელი გადმოსახედიდან შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე მეტი წინსვლა სწორედ ამ სფეროში შეინიშნება. საქართველომ ხელი მოაწერა დანაშაულთან ბრძოლის შესახებ თანამშრომლობის შეთანხმებას ევროკავშირის და შენგენის ზონის მთელ რიგ ქვეყნებთან. გარდა ამისა, მიმდინარეობს სამუშაოები ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან ერთობლივი საგამოძიებო ჯგუფების მეშვეობით ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის საკითხში (საქართველოს მთავრობა 2020; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო 2018). 2017 წელს EUROPOL-თან გაფორმებული ჩარჩო შეთანხმების საფუძველზე, თანამშრომლობის გაძლიერების მიზნით, საქართველო განეწიანდა ევროპოლის ორ ანალიტიკურ პროექტში (საქართველოს მთავრობა 2017). ხოლო 2018 წელს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და EUROPOL-ს შორის გაფორმდა უსაფრთხო კომუნიკაციის არხის თაობაზე ურთიერთგაგების მემორანდუმი და, ასევე, სამეკავშირეო შეთანხმება საქართველოსა და ევროკავშირს შორის (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო 2018). გარდა ამისა, ევროკავშირის რიგ ქვეყნებთან ორმხრივად მოეწერა ხელი საგამოძიებო ინფორმაციის გაცვლის შეთანხმებას და ევროპოლთან უსაფრთხო კომუნიკაციის მიზნით, სწავლება ჩაუტარდა შესაბამის პერსონალს ("SIENA"- ინფორმაციის უსაფრთხო კომუნიკაციის არხი, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროში ამოქმედდა 2019 წლის აპრილში)(საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო 2019). რაც შეეხება იარაღით ვაჭრობის კონტროლის სფეროს, მიუხედავად საქართველოს მიერ რამდენიმე მნიშვნელოვანი ანგარიშის გამოქვეყნებისა, ჯერ კიდევ გაურკვეველია ევროპის საბჭოს გადაწყვეტილების (2013/768/CFSP) შესრულების ხარისხი იარაღით ვაჭრობის ხელშეკრულების (ATT) გავრცობასთან დაკავშირებით. ასევე, 2015/2309/CFSP გადაწყვეტილება იარაღთან დაკავშირებული P2P ექსპორტის კონტროლის პროგრამის ხელშემწყობი ღონისძიებების გატარებასთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, იარაღის ექსპორტისა და ცეცხლსასროლი იარაღით უკანონო ვაჭრობის კონტროლის ევროპული სტანდარტების დანერგვასთან დაკავშირებით რაიმე დასკვნის გაკეთება შეუძლებელია. ამასთანავე, საკმაოდ რთულია რაიმე კონკრეტულის თქმა სხვა საკითხებთან დაკავშირებით (მაგ. იარაღით ვაჭრობის გზამკვლევის განხორციელება ან ორმაგი დანიშნულების ექსპორტის კონტროლი), რაც გამომწვეულია მისაღწევი მიზნების თუ სასურველი შედეგების კონკრეტული და დეტალური აღწერის არარსებობით. ეს გარემოება კი საკმაოდ ართულებს მიღწეული პროგრესის შეფასებას და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენებაში ცალკე არის აღნიშნული (სახელმწიფო აუდიტის სამსახური 2019).

რაც შეეხება კიბერუსაფრთხოებას, მთავარ პრობლემად რჩება მისი ახალ სტანდარტებთან კერძო სექტორის შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, (საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების საბჭო 2020) ახალი ნორმატიული ბაზის შემუშავება და შემუშავებული კიბერუსაფრთხოების სტრატეგიის პროექტის ახალი (მესამე) ვერსიის მიღება (საქართველოს ფინანსთა სამინისტრო 2020). დოკუმენტს ჯერ კიდევ არ გაუვლია უწყებათაშორისი განხილვა და ელის მთავრობის მხრიდან დამტკიცებას (საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების საბჭო 2020). აღნიშნული სტრატეგიის დოკუმენტის მიღება და მის საფუძველზე სამოქმედო გეგმის შემუშავება აღმოსავლეთ პარტნიორობის შედეგები 2020-ის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია.

09 შესაბამისად, საკმაოდ გაუგებარია, ესეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტის და შემდგომ განხორციელების გეგმების დამტკიცების დროში განვლვის მიზეზი. მით უფრო, როდესაც ტექნიკური თვალსაზრისით, სხვადასხვა უწყებებში განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებები, განსაკუთრებით კომპიუტერულ ინციდენტებზე რეაგირების ჯგუფის (CERT) ამოქმედებასთან დაკავშირებით (საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების საბჭო 2020). ბუდაპეშტის კონვენციის კრიტიკული მნიშვნელობის მიუხედავად, მის ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულება მხოლოდ კიბერუსაფრთხოების ეროვნული სტრატეგიის 2017-2018 დოკუმენტშია მოკლე პასაჟით აღწერილი და არ გვხვდება სხვა სახელმწიფო დოკუმენტებში (საქართველოს მთავრობა 2017b, 14:13). მიუხედავად იმისა, რომ შემუშავდა შესაბამისი პროცედურები კომერციულ ბანკებსა და სხვა სახელმწიფო სამსახურებზე „ფიშინგის“ და სხვა ტიპის კიბერშეტევების შესუსტების მიზნით და დადგინდა კიბერუსაფრთხოების შემდგომი გაუმჯობესების გზები, სახელმწიფო დონეზე კიბერუსაფრთხოების პოლიტიკის დამტკიცება-გატარების თვალსაზრისით მთელი რიგი დამატებითი პრობლემები რჩება (საქართველოს ფინანსთა სამინისტრო 2020, 62). მაგალითად, 2019 წელს იუსტიციის სამინისტროში არ დამონტაჟდა პროგრამის ქსელური სენსორები და ის 2020 წლისთვის გადაიდო (საქართველოს ფინანსთა სამინისტრო 2020, 146). 2019 წელს თავდაცვის სამინისტრო გეგმავდა ვირუსებზე ინფორმაციის გაცვლის მრავალეროვნულ პლატფორმაში (MN MISIP) განვერვიანებას და ამისთვის შექმნა უსაფრთხოების ოპერაციების ცენტრი (SOC)(საქართველოს თავდაცვის სამინისტრო 2020b, 17), თუმცა, თავდაცვის მინისტრის დირექტივების დოკუმენტის მიხედვით, კიბერუსაფრთხოების ამოცანებისთვის გამოყოფილი დაფინანსება 2020-21 წწ. პერიოდისთვის უცვლელი რჩება, რაც (თანხის ისედაც სიმცირის და ინფლაციის გამო) მის თანმიმდევრულ შემცირებას და კიბერუსაფრთხოების პოტენციალის გაფართოებაზე უარის თქმას გულისხმობს (საქართველოს თავდაცვის სამინისტრო 2019, 12,22). შესაბამისად, დღეისათვის სრულიად წარმოუდგენელია კიბერუსაფრთხოების სფეროში იმის განსაზღვრა, თუ რა წარმოადგენს სახელმწიფოსთვის მთავარ საფრთხეებს, რისკებს, პრიორიტეტულ ამოცანებს, სამოქმედო გეგმებსა და განვითარების მიმართულებებს, რაც თავის მხრივ, ბუდაპეშტის კონვენციის პრინციპებთან მათი შესაბამისობის დადგენის საშუალებას შექმნიდა.

ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფები

აღნიშნულ სფეროში ნატო-სა და ევროკავშირის პრიორიტეტების მკაფიო გადაკვეთის გამო, ძირითადი მნიშვნელობა ენიჭება ერთი მხრივ, კრიტიკული ინფრასტრუქტურის ობიექტების შეუფერხებელი მუშაობის უნარს, ხოლო მეორე მხრივ, საქართველოს მიერ კატასტროფების მართვის პოლიტიკის შემუშავებასა და გატარებას (ცენტრალურ და რეგიონალურ დონეებზე). ეს უკანასკნელი კი, პირველ რიგში, შესაბამისი სტრატეგიის დოკუმენტის მიღებას ითვალისწინებს. რა თქმა უნდა, ეს ამოცანები ვერ განხორციელდება სახელმწიფო დონეზე სხვადასხვა უწყებების საქმიანობის კოორდინაციის გარეშე. შესაბამისად, ხანგრძლივი გაურკვევლობის შემდეგ, 2019 წელს შექმნილი ეროვნული უსაფრთხოების საბჭო წარმოადგენს წამყვან სუბიექტს კრიტიკული ინფრასტრუქტურის მარეგულირებელი ჩარჩოს შემუშავების, მისი განახლებისა და ეროვნული ძალისხმევის კოორდინირების მიმართულებით.

10 2019 წლის დეკემბერში საბჭოსთვის ზემოთ ნახსენები მაკოორდინირებელი ფუნქციის დაკისრებამდე, შინაგან საქმეთა სამინისტროს ეგიდით შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ჩატარდა არსებული სამართლებრივი ბაზის, დარგობრივი პრაქტიკისა და სისტემური ნაკლოვანებების ანალიზი („gap analysis“). მიუხედავად ამისა, კრიტიკული ინფრასტრუქტურის ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დოკუმენტები ჯერ არ არის დასრულებული (დამტკიცებული). ასევე, ჯერ არ არის დასრულებული მუშაობა კრიტიკული ინფრასტრუქტურის ობიექტების ეროვნულ ნუსხაზე, შესაბამისი რისკის შეფასების მეთოდებზე და უსაფრთხოების სტანდარტების განსაზღვრაზე (საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების საბჭო 2020).

მიუხედავად მთელი რიგი ტექნიკური ხასიათის პროგრესისა (როგორცაა სახანძრო უსაფრთხოების სტანდარტები და ინციდენტების აღრიცხვისა და ოპერაციების მართვის ელექტრონული სისტემა - eFris), 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი საკმაოდ მცირე ინფორმაციას იძლევა კატასტროფების მართვის სფეროში დაგეგმილი ნაბიჯების შესახებ (საქართველოს ფინანსთა სამინისტრო 2019, 80-81; საქართველოს ფინანსთა სამინისტრო 2020, 77). ამასთან ერთად, დოკუმენტებიდან არ ჩანს, როდიდან შეიქმნება საგანგებო სიტუაციების ერთიანი სისტემა და კიდევ უფრო გაუგებარია, როგორ მოხდება ამ ერთიანი სისტემის განხორციელება ადგილობრივ (რეგიონალურ და მუნიციპალურ) დონეზე კატასტროფებზე ეფექტური რეაგირების მიზნით (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო 2018; საქართველოს მთავრობა 2018, 9). საინტერესოა, რომ სწორედ ამ სფეროში, 2018 წელს საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმდა ადმინისტრაციული შეთანხმება სამოქალაქო თავდაცვისა და კატასტროფის რისკის მართვის შესახებ (საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების საბჭო 2020). ევროკავშირის სამოქალაქო უსაფრთხოების შეფასების გუნდის რეკომენდაციების საფუძველზე, შედგა ინსტიტუციური განვითარების 5-წლიანი გეგმა. თუმცა, სტრუქტურულმა ცვლილებებმა და სამსახურის საბიუჯეტო დაფინანსების მნიშვნელოვანმა შემცირებამ, გეგმის დამტკიცების პროცესი პრაქტიკულად შეაჩერა. ანალოგიურად, მიუხედავად იმისა, რომ 2017 წელს მთავრობის დადგენილებით დამტკიცდა "კატასტროფის რისკის შემცირების 2017-2020 წლების ეროვნული სტრატეგია", ჯერ არ დამტკიცებულა და შესაბამისად, არც პრაქტიკაში განხორციელებულა კატასტროფის რისკის მართვის სამოქმედო გეგმა, რომლის პროექტიც განხილვისა და რეკომენდაციების მიღების მიზნით გადაეგზავნა ევროკომისიის ჰუმანიტარული მისიისა და სამოქალაქო უსაფრთხოების გენერალურ დირექტორატს (DG ECHO) (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო 2019, 32).

მსგავსი ტენდენცია შეინიშნება ქიმიურ, ბაქტერიოლოგიურ, რადიოაქტიურ და ბირთვულ (ქბრბ) საფრთხეებზე რეაგირების და ტერორიზმთან ბრძოლის პოტენციალის გაზრდასთან დაკავშირებით. იმის მიუხედავად, რომ ტექნიკური კონტროლის გაუმჯობესების თვალსაზრისით, უწყებების მხრიდან გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა, არც ერთი სახელმწიფო მნიშვნელობის საშუალოვადიანი დოკუმენტი, მით უფრო საბიუჯეტო ხასიათის (მაგ. „ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2020-2023 წლებისათვის“), არ იძლევა რაიმე ინფორმაციას დაგეგმილ ან დამატებით დაფინანსებაზე ქბრბ საფრთხეების მართვის სისტემის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით (საქართველოს მთავრობა 2020, 24).

საერთო ჯამში, სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე გაჩერებული მნიშვნელოვანი დოკუმენტების გამო, და ასევე იმ წყაროებზე დაყრდნობით, რომლებიც მკაფიოდ გამორიცხავენ ახლო მომავალში რაიმე ქმედითი ნაბიჯის განხორციელებას კატასტროფების მართვის სისტემის გაუმჯობესების მიმართულებით, სერიოზული ეჭვის ქვეშ დგება ქვეყნის უნარი, გაუძლოს მასშტაბურ კრიზისებს. შესაბამისად, მედეგობის ხარისხი შეიძლება შეფასდეს როგორც არც თუ ისე სახარბიელო, ან დაბალი.

სამხედრო საფრთხეები და თავდაცვისუნარიანობა

აღნიშნულ სფეროსთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ 2008 წლიდან შექმნილი რეალობა (რუსული სამხედრო აგრესიის გაზრდილი საფრთხე და მასშტაბი) საქართველოს ობიექტურად კარნახობს სამხედრო დაპირისპირების შემთხვევაში თავდაცვისუნარიანობის და შესაბამისად, სახელმწიფო ინსტიტუტების, საზოგადოებისა და კერძო სექტორის მედეგობის სწრაფ და ყოვლისმომცველ გაზრდას. ამავე მოთხოვნას აყენებენ ჩრდილოატლანტიკური ალიანსი და ევროკავშირი საქართველოს წინაშე ჯერ კიდევ 2008 და განსაკუთრებით, 2014 წლიდან. ნათელია, რომ იქამდე, სანამ საქართველო ევროკავშირის წევრი გახდება, მისთვის მხოლოდ ევროპის ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის ფარგლებში (CSDP/CSFP) განხორციელებულ ოპერაციებთან თავსებადობის მიღწევის მოთხოვნა იქნება პრიორიტეტული (რასაც დღეს ის უკვე აკმაყოფილებს) (საქართველოს თავდაცვის სამინისტრო 2020a). თუმცა, მთავარ გამოწვევად რჩება როგორც სახელმწიფო დონეზე საფრთხის ადეკვატური აღქმის უნარი, რაც 2008 წლიდან თავდაცვის ბიუჯეტის თანმიდევრულ შემცირებაში გამოიხატება (2008 წლიდან თითქმის სამჯერ), ასევე, იმავე სახელმწიფო დონეზე თავდაცვის სტრატეგიული დოკუმენტის (თავდაცვის ეროვნული სტრატეგიის) არდამტკიცება, რაც კიდევ უფრო დიდ პრობლემას წარმოადგენს. ეს უკანასკნელი კი გამორიცხავს პოლიტიკის პრაქტიკული განხორციელების განზომილებაში თავდაცვასთან დაკავშირებული მიზნებისა და მათი მიღწევის გზების დადგენას და შესაბამისი საშუალებების გამოყოფას. დიდი ხნის წინ გაცხადებული „ეროვნული თავდაცვის სტრატეგია 2020-2030“, რომლის შემუშავება 2019 წლის დასაყისში დასრულდა, ჯერ კიდევ ელის საბოლოო დამტკიცებას. ეს ფაქტი პირდაპირ აფერხებს „ეროვნული მზადყოფნის გეგმის“ შემუშავებას და კონკრეტული დავალებებისა და პასუხისმგებლობების განაწილებას ომისა და ეროვნული კრიზისის/საგანგებო მდგომარეობის დროს. საომარი ვითარება მოითხოვს სამოქალაქო სფეროს მაღალი მზადყოფნის უზრუნველყოფას და მთელი რიგი ღონისძიებების დაგეგმვას, როგორც საომარი მიზნებისთვის სამოქალაქო ინფრასტრუქტურის მომზადების, ასევე მოსახლეობის მორალურ-ფსიქოლოგიური მომზადებისა და კერძო სექტორთან მჭიდრო კომუნიკაციისა და თანამშრომლობის კუთხით. სამწუხაროდ, ამ მიმართულებითაც არ შეინიშნება რაიმე პროგრესი, რაც საკუთრივ შეიარაღებული ძალების ქრონიკული დაუფინანსებლობის ფონზე სერიოზულ ეჭვს ბადებს ქვეყნის მიერ საომარი ვითარების შემთხვევაში რაიმე ეფექტური წინააღმდეგობის გაწევისა და მაღალი მედეგობის ჩვენების თვალსაზრისით. აღნიშნული დასკვნის კარგად გააზრების მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება, რამდენადაც ჯერ კიდევ ვარშავის სამიტიდან მოყოლებული, ნატო მკაფიოდ ითხოვს საქართველოსგან მედეგობის გაზრდას.

ხოლო აღნიშნული მოთხოვნა პირდაპირ ითვალისწინებს, ალიანსის გაგებით, მთელ რიგ სფეროებში (დიდწილად კრიტიკული ინფრასტრუქტურის კუთხით, მაგ. სურსათით, წყლით, მედიკამენტებით, ენერგომატარებლების, კომუნიკაციისა და ტრანსპორტით უზრუნველყოფა) სახელმწიფოს მხრიდან ფუნქციონირების უწყვეტობის გარანტიის შექმნას, მიუხედავად საომარი ვითარებით გამოწვეული სირთულეებისა (Shea 2016). ამ მოთხოვნის ფონზე, ეჭვის ქვეშ დგება, ვინრო გაგებით, საქართველოს უნარი, წარმატებით გაუძღვეს ამ ურთულეს მისიას. ასევე, სათუო ხდება საკუთრივ ალიანსში განწევრიანების პერსპექტივა 2016 წლიდან წაყენებული ერთ-ერთი უმთავრესი მოთხოვნის შეუსრულებლობის გამო.

დასკვნა და რეკომენდაციები

საქართველო წარმოადგენს ისეთი ქვეყნის ტიპურ მაგალითს, რომელიც ენერგიულად ცდილობს ყველანაირი სახის ვალდებულების აღებას საერთაშორისო პარტნიორობთან საკუთარი მნიშვნელობისა და სამაგალითო როლის ხაზგასასმელად. ამასთან ერთად, აღებული ვალდებულებების საერთო ლოგიკა მოითხოვს ძირეული რეფორმების გატარებას და კოორდინირებული მიდგომების სწრაფ განხორციელებას როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დონეზე. სწორედ აღნიშნული გარემოება წარმოადგენს მთავარ ფაქტორს, რაც, სამწუხაროდ, არ თუ ვერ იქნა სრულად გაზიარებული საქართველოს ხელისუფლების მიერ, რაც პირდაპირ აისახება გაჭიანურებულ ან გადადებულ გეგმებში და სახელმწიფოს მედეგობის ხარისხს სახიფათოდ დაბლა სწევს. აქედან გამომდინარე, რეკომენდაციების ფორმულირებისას მკაფიოდ უნდა გამოჩნდეს პასუხისმგებელი ორგანოს (სუბიექტის) განსახორციელებელი ნაბიჯები ვითარების სწრაფად და რადიკალურად გასაუმჯობესებლად:

- **საქართველოს მთავრობა** - უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია მაკოორდინირებელი უწყებრივი რგოლების პოტენციალისა და უფლებამოსილების გაზრდა როგორც ცენტრალურ (უსაფრთხოების საბჭო), ასევე ადგილობრივ (რეგიონული და მუნიციპალიტეტების) დონეზე და მისი საჭირო რესურსებით აღჭურვა.
- **საქართველოს მთავრობა/ეროვნული უსაფრთხოების საბჭო** - მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტებისა (მაგ. კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვის სტრატეგია, ეროვნული თავდაცვის სტრატეგია, ეროვნული მზადყოფნის გეგმა, კიბერუსაფრთხოების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა და ა.შ.) ჯერ კიდევ გადახედვის სტადიაშია და მათი დამტკიცება დიდი ხნით ჭიანურდება, რითაც ხელი ეშლება მთელი რიგი მნიშვნელოვანი ნაბიჯებისა და გეგმების განხორციელებას სახელმწიფო და უწყებრივ დონეზე. ხშირ შემთხვევებში, ყოველივე ეს გამოწვეულია ბიუროკრატიული პროცედურებით ან სტრუქტურული ცვლილებებით. აქედან გამომდინარე, მეტად მნიშვნელოვანია, გაუმჯობესდეს კოორდინაციის და უწყებათაშორისი განხილვის პროცესები. ეს შესაძლებელია კონტროლის პასუხისმგებლობის გადაცემით კონკრეტული მაკოორდინირებელი ორგანოსთვის, კერძოდ ეროვნული უსაფრთხოების საბჭოსთვის, რომელიც ამჟამად აღნიშნულ ამოცანებს მხოლოდ შეზღუდული დოზით ასრულებს.

კრიზისებისა და კატასტროფების მოგერიების და, ასევე, საომარი ვითარების დროს, სახელმწიფო ბაზისური ფუნქციების შენარჩუნების ნებისმიერი მცდელობა ვერ იქნება წარმატებული, თუ შეიარაღებულ ძალებს არ გააჩნიათ უნარი და რესურსი, გაუძლონ მოწინააღმდეგის სამხედრო ზეწოლას. გარდა ამისა, ეს შეუძლებელი იქნება, თუ საზოგადოება, ისევე როგორც სამოქალაქო ინფრასტრუქტურა და კერძო სექტორი (ბიზნესი), არ არის მორალურად და ფსიქოლოგიურად მზად, თავისი წვლილი შეიტანოს საერთო წინააღმდეგობაში. მიუხედავად იმისა, რომ ყველა სახელმწიფო უწყება აქტიურად ახორციელებს რიგ ღონისძიებებს, მათ შორის სამოქალაქო და კერძო სექტორთან, საერთო პოლიტიკის მიმართულება და კოორდინაციის მცდელობა არ შეინიშნება. ამის ნაცვლად, შეიმჩნევა სხვადასხვა სფეროში ღონისძიებების ტექნიკური დაჯამება. აღნიშნული გარემოება მიუთითებს შიდა განხილვების ან ერთიანი მიდგომის ნაკლებობაზე, რასაც კიდევ უფრო ამყარებს სახელმწიფო ბიუჯეტში საკმარისი დაფინანსების არარსებობა. ეს უკანასკნელი კი, მომავალშიც აფერხებს საჭირო ღონისძიებების დროულად განხორციელებას. აქედან გამომდინარე, მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს სწრაფი ტემპით შემდეგი ნაბიჯების განხორციელება:

- **თავდაცვის სამინისტრო** - მიზანშეწონილი იქნებოდა ეროვნული თავდაცვის სტრატეგიისა და მისი განხორციელების გეგმის სასწრაფო წესით დამტკიცება და გრძელვადიან პერსპექტივაში, შესაბამისი საბიუჯეტო ასიგნებების გამოყოფა. აგრეთვე მნიშვნელოვანი იქნებოდა, აღნიშნული ფინანსური გარანტიის ფონზე, სხვა უწყებებთან მჭიდრო კოორდინაციით (**უსაფრთხოების საბჭოს მეშვეობით**), როგორც სამხედრო, ასევე სამოქალაქო, და განსაკუთრებით კრიტიკული ინფრასტრუქტურის ობიექტებთან მიმართებაში, მედეგობის გასაზრდელად დამატებითი ზომების სწრაფი განხორციელება.
- **ყველა რელევანტური უწყება** - ამავედროულად, სამომავლო მიმართულებისა და გეგმების შესახებ საზოგადოების ინფორმირებისა და საკუთრივ განსახორციელებელი ზომების ზუსტი შესრულების მიზნით, აუცილებელია მისაღწევი შედეგების უფრო მეტად დაკონკრეტება მათი მიღწევადობის გაზომვის გასამართივებლად. აღნიშნული ნაბიჯი, თავის მხრივ, გაცილებით გაამართივებს განხორციელების პროცესში პროგრესის გაზომვასა და შემდგომი ნაბიჯების დასახვას. ამ ეტაპზე, გაურკვევლად ჩამოყალიბებული მიზნები მხოლოდ ზოგად წარმოდგენას იძლევა და შეუძლებელს ხდის კონკრეტული შედეგების განსაზღვრას. ამიტომ, იმისათვის, რომ არ შეიქმნას ერთი და იმავე ადგილის ტკეპნის განცდა, აუცილებელია ზემოთ აღნიშნული ტენდენციის შეცვლა, რაც შესაძლებელს გახდის კონკრეტული შედეგების ზუსტი შეფასების უზრუნველყოფას.

გამოყენებული ლიტერატურა

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების საბჭო. 2020. პასუხი წერილობით შეკითხვაზე აღმოსავლეთ პარტნიორობის 2020 შედეგების შესახებ. N01-42.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. 2020a. პასუხი წერილობით შეკითხვაზე აღმოსავლეთ პარტნიორობის 2020 შედეგების შესახებ. MOD02000109266.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. 2019. „მინისტრის დირექტივები 2019.“ ხელმისაწვდომია: https://mod.gov.ge/uploads/2019/PDF/2019_direktivebi_24_ianvari_final.pdf ნანახია: 10 დეკემბერი 2020;

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. 2020b. „მინისტრის ხედვა 2020.“ ხელმისაწვდომია: https://mod.gov.ge/uploads/ministris_khedva_2020/xedva_2020.pdf ნანახია: 10 დეკემბერი 2020;

საქართველოს მთავრობა. 2017. „ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის 2017-2020 წლების ეროვნული სტრატეგია.“ ხელმისაწვდომია: <https://info.police.ge/uploads/5a8fea79270a2.pdf> ნანახია: 15 დეკემბერი 2020;

საქართველოს მთავრობა. 2017b. „საქართველოს მთავრობის დადგენილება საქართველოს კიბერუსაფრთხოების 2017-2018 წლების ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.“ ხელმისაწვდომია: http://gov.ge/files/469_59439_212523_14.pdf ნანახია: 15 დეკემბერი 2020;

საქართველოს მთავრობა. 2018. „ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2018-2021 წლებისათვის.“ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. ხელმისაწვდომია: <https://mof.ge/images/File/BDD/2018-2021/sabolo0/BDD-2018-2021-29.01.2018-sabolo0.pdf> ნანახია: 17 დეკემბერი 2020;

საქართველოს მთავრობა. 2020. „ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2020-2023 წლებისათვის.“ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. ხელმისაწვდომია: <https://mof.ge/5253> ნანახია: 17 დეკემბერი 2020;

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. 2019. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები“. ხელმისაწვდომია: <https://mof.ge/5263> ნანახია: 18 დეკემბერი 2020;

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. 2020. „სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები“. ხელმისაწვდომია: <https://mof.ge/5261> ნანახია: 18 დეკემბერი 2020;

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო. 2018. „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2018 წლის საქმიანობის ანგარიში.“ ხელმისაწვდომია: <https://info.police.ge/uploads/5cf7e783a0c6d.pdf> ნანახია: 19 დეკემბერი 2020;

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო. 2019. „2019 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების ექვსი თვის (იანვარი-ივნისი) ანგარიში.“ ხელმისაწვდომია: <https://info.police.ge/search?q= ანგარიში> ნანახია: 19 დეკემბერი 2020;

სახელმწიფო აუდიტის სამსახური. 2019. „მოხსენება საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ.“ ხელმისაწვდომია: <http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/118933>
ბიუჯეტის_შესრულების_წლიურ_ანგარიშზე_სახელმწიფო_აუდიტის_სამსახურის_მოხსენება
ნანახია: 21 ნოემბერი 2020;

Council of Europe. 2001. „Convention on Cybercrime (European Treaty Series-No. 185).“ ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/1680081561> ნანახია: 20 დეკემბერი 2020;

Dzebisashvili, Shalva. 2020. „Stronger Security Cooperation.“ In Georgia’s Implementation of 20 Eastern Partnership Deliverables for 2020 (pp. 66–70). Georgian Institute of Politics, International Society for Fair Elections and Democracy. ხელმისაწვდომია: <http://gip.ge/wp-content/uploads/2020/07/ENG-Deliverables-2020.pdf>;

Pape, Elisabeth. 2016. “EU Approach to Fragility and Resilience.” EU External Action: Fragility, Security and Development in a Changing World. European Commission. ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/iloqK> ნანახია: 18 ნოემბერი 2020;

European Commission. 2017. „JOINT STAFF WORKING DOCUMENT: Eastern Partnership - 20 Deliverables for 2020 Focusing on key priorities and tangible results (SWD(2017) 300 final).“ ხელმისაწვდომია: https://ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/sites/near/files/eap_20_deliverables_for_2020.pdf ნანახია: 14 დეკემბერი 2020;

European Commission. 2019. “20 Deliverables for 2020. Monitoring – State of Play March 2019.” ხელმისაწვდომია: https://ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/sites/near/files/20_deliverables_for_2020_monitoring_state_of_play_2019.pdf ნანახია: 21 დეკემბერი 2020;

European Commission. 2019b. „Resilience.“ ხელმისაწვდომია: <https://ec.europa.eu/jrc/en/research/crosscutting-activities/resilience> ნანახია 20 ნოემბერი 2020;

European Commission. n.d. „20 Deliverables for 2020: Bringing tangible results for citizens.“ ხელმისაწვდომია: https://ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/sites/near/files/eap_deliverables_factsheet_2017.pdf ნანახია: 21 დეკემბერი 2020;

EU4Digital. 2018. „EaP: Work Programme - Platform 2 (2018-2019).“ ხელმისაწვდომია: <https://eufordigital.eu/wp-content/uploads/2019/10/EaP-2nd-Platform-Work-Programme-in-2018-2019.pdf> ნანახია: 19 დეკემბერი 2020;

NATO. 2014. “Wales Summit Declaration Issued by the Heads of State and Government Participating in the Meeting of the North Atlantic Council in Wales.” ხელმისაწვდომია: https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_112964.htm ნანახია 15 დეკემბერი 2020;

NATO. 2016. “Warsaw Summit Communiqué - Issued by the Heads of State and Government Participating in the Meeting of the North Atlantic Council in Warsaw, 8-9 July 2016.” ხელმისაწვდომია: https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_133169.htm ნანახია: 15 დეკემბერი 2020;

NATO. 2019. “The North Atlantic Treaty - Washington D.C. - 4 April 1949.” ხელმისაწვდომია: https://www.nato.int/cps/en/natolive/official_texts_17120.htm ნანახია: 15 დეკემბერი 2020;

NATO. 2020. “Civil preparedness.” ხელმისაწვდომია: https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_49158.htm ნანახია: 22 დეკემბერი 2020.

Roepke, Wolf-Diether, and Hasit Thankey. 2019. “Resilience: the First Line of Defence.” NATO. Nato Review. ხელმისაწვდომია: <https://www.nato.int/docu/review/articles/2019/02/27/resilience-the-first-line-of-defence/index.html> ნანახია: 15 დეკემბერი 2020;

Shea, Jamie. 2016. “Resilience: a Core Element of Collective Defence.” NATO. Nato Review. ხელმისაწვდომია: <https://www.nato.int/docu/review/articles/2016/03/30/resilience-a-core-element-of-collective-defence/index.html> ნანახია: 15 დეკემბერი 2020;

The Swedish Defence Commission secretariat. 2017. „Resilience: The total defence concept and the development of civil defence 2021-2025.“ Inofficial summary. ხელმისაწვდომია: <https://www.government.se/4afeb9/globalassets/government/dokument/forsvarsdepartementet/resilience--report-summary--20171220ny.pdf> ნანახია: 10 დეკემბერი 2020;

Von Sydow, Bjorn. 2018. “Resilience: Planning for Sweden’s “Total Defence.” ხელმისაწვდომია: <https://www.nato.int/docu/review/articles/2018/04/04/resilience-planning-for-swedens-total-defence/index.html> ნანახია: 21 დეკემბერი 2020.



საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS

www.gip.ge